სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

26 მარტი 2024

N 169/ს

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

„ქ. რუსთავში, შპს „ჯეო ენტერპრაიზის“ მეტალურგიული საწარმოს ექსპლუატაციაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ“ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს 2022 წლის 8 აგვისტოს N246/ს ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს 2022 წლის 8 აგვისტოს N246/ს ბრძანებით, ქ. რუსთავში, შპს „ჯეო ენტერპრაიზის“ მეტალურგიული საწარმოს ექსპლუატაციაზე გაცემულია გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება. 2024 წლის 20 მარტს გაიცა სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს N152/ს ბრძანება „ქ. რუსთავში, შპს „ჯეო ენტერპრაიზის“ მეტალურგიული საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ,“ რომელიც წარმოადგენს N246/ს ბრძანების ექსპლუატაციის პირობების ცვლილებას.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. „ძალადაკარგულად გამოცხადდეს ქ. რუსთავში, შპს „ჯეო ენტერპრაიზის“ მეტალურგიული საწარმოს ექსპლუატაციაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ“ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს 2022 წლის 8 აგვისტოს N246/ს ბრძანება;
2. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „ჯეო ენტერპრაიზს“ და სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს;
3. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ჯეო ენტერპრაიზის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
4. ბრძანების გამოცემიდან 5 დღის ვადაში აღნიშნული ბრძანება განთავსდეს გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალსა და ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე;
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, N64) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ვასილ გედევანიშვილი

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო